№ 176

ხუთშაბათი, 18 აგვისტო 1894

1877—1894

# ივერია

№ 176

ხუთშაბათი, 18 აგვისტო 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## ჯორჯიკიასი

სასწავლებელ-პანსიონში (ქუთაისში) 400 მან., ხარჯის გარდა, მიეცემა წლიურად სემინარია, ანუ ინსტიტუტ გათავებულს რომელიც იკისრებს ამ სასწავლებლის მასწავლებლობას და აღმზრდელობას.

ამ სასწავლებლის პანსიონში თვიურ გადასახადად დაწესებულია 15 მან, როგორც გიმნაზია და პროგიმნაზიის მოსწავლეთათვის, რომელნიც ამ სასწავლებლის პანსიონში ბინას იქონიებენ, აგრეთვე იმათათვისაც, რომელთაც მომზადება სურთ სხვა-და-სხვა სასწავლებელში. მოსიარულეს თვიურად გადახდება 5 მან. დილა-სადილობის წასვლისათვის.

ყმაწვილების მშობლებმა, რომელნიც მუდამ ქუთაისში არ სცხოვრობენ, უნდა წარუდგინონ სასწავლებელს ისეთი კაცი, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს; იგი ვალდებულ იქნება ყმაწვილის ავადმყოფობის დროს, ან სხვა შემთხვევაში, როცა მას სასწავლებელი მოიწვევს, მშობლების მაგიერობა გასწიოს.

(6—1626—5)

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღებ· დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—13)

ტფილისი, 18 აგვისტო

—

ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს ჩვენში ბ-ნი ერმოლოვი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც დანიშნულია მეურნეობის პირველ მინისტრად.

ყოველთვის, როდესაც რომელიმე დიდი მოხელე სახელმწიფოსი, რომელიმე გავლენიანი გვამი გვეწვევა ხოლმე, ჩვენ მყისვე გავიმსჭვალებით იმედებით, რომ ქვეყნის დაძაბუნებულ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და რაიმე საშველი დაეურება.

მაგრამ ხშირად—თითქმის ყოველთვის ამ იმედით აღფრთოვანებული ოცნება ნელ-ნელა ნელდება და შემთხვევაზედ დამოკიდებულ მოლოდინისაგან სასიკეთო არა გამოდის-რა.

თუმცა ამ მწარე სიტყვებს გვათქმევინებს ჩვენ ხანგრძლივი გამოცდილება ცხოვრებისა, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ამ გზობითაც არ ვკარგავთ სასოებას და ვიმედობთ, რომ მეურნეობის მინისტრის მოგზაურობას საქართველოში კეთილი ნაყოფი მოჰყვება.

მაგრამ საჭიროა, რომ ისინი ვინც ჩვენი საქმეების და ცხოვრების სათავეში დგანან, შეგნებულად და საფუძვლიანად მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობას და ბ-ნს მინისტრს არ დარჩეს წარუდგენელი, აუხსნელი და განუმარტებელი უმთავრესნი საჭიროებანი ჩვენის მეურნეობისა.

რადგანაც საქართველო, ანუ ივერია, როგორც თვით სახელიდანაკ სჩანს, ძველთაგანვე ცნობილია, როგორც სამეურნეო ქვეყანა, ამიტომ საჭიროებაც იმისი უმთავრესად ამ ხასიათისა და თვისებისა არის. ბ-ნი მინისტრი, უეჭველია თითონაც ჩინებულად შეამჩნევს და დარწმუნდება, რომ ასეთის ბუნებით მდიდარ ქვეყანას, როგორიც არის ორივე ნაწილი საქართველოსი—აღმოსავლეთი და დასავლეთი—თუ წესიერად და ცოდნით იქნა წარმართული წარმოება და მრეწველობა, სრულიად ადვილად შეუძლია თავის თავადაც კმაყოფილი იყოს ნივთიერად და ხაზინასაც დიდი შემოსავალი მისცეს.

ბ-ნის ერმოლოვის მოგზაურობა რუსეთის სხვა და სხვა ადგილს პირველი არ არის და სადაც-კი იყო, სადაც-კი დაესწრო მეურნეთა კრებას, ყოველგან დიდი ყურადღება, მუყაითობა და ცოდნა გამოიჩინა იმ საგნისა, რომლის სათავეში იგი დღეს იმყოფება.

ამ ნაირივე იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენც, რომ ბ-ნი მინისტრი აქაც ისეთის გულ-დასმით, ჭეშმარიტის ზრუნვითა და სიყვარულით განიხილავს ჩვენის ქვეყნის უპირველეს სამეურნეო საჭიროებათა და, ამისდა შესაფერად ჯეროვანს ღონისძიებასაც მიიხმარს.

ჩვენ-კი ჩვენის მხრით ვისურვებთ გარდა ყველა იმ საჭიროებისა, რომელსაც სასიკეთოდ სცნობს ბ-ნი მინისტრი დაარსებულ-იყოს რამდენიმე სამაგალითო ფერმა, სადაც ქართველ თავად-აზნაურობასა და გლეხობას შეეძლოს შეისწავლოს თვალსაჩინოდ, საქმით, მიწის მუშაობა, სხვა-და სხვა მცენარის მოყვანა, პირუტყვისა, ვაზის, აბრეშუმის თამბაქოსი და ათასი ამ გვარი რამეების მოვლა. თითოეული მსურველი თავის ნებაზე გამოირჩევს საქმეს და წარმოუდგენელიც არის, რომ ყმაწვილი კაცი ერთ რამე საგანში მაინც რომ არ გამოდგეს!

ამგვარი ფერმები მრავალი არის ევროპის ყველა ადგილს, და იქ არა თუ ახალგაზდა ყმაწვილს შეხვდებით, რომ სწავლობდეს მუშაობას, არამედ სრულიად გაჭაღარებულ საპატიო კაცებს, რომელნიც დიდის მოკრძალებით და პატივისცემით უსმენენ. ხშირად თავის ახალგაზდა მასწავლებელთ.

გარდა ნივთიერ კეთილდღეობისა, რომელსაც ამ გვარი დაწესებულება მოუტანს ხალხს, ჩვენი მრავალი თავად-აზნაურების შვილები, უეჭველია სიამოვნებით შეუდგებიან კეთილშობილ შრომას ამ ფერმებზე, რომელიც სრულიად მოამზადებს მათ ცხოვრებასთან საბრძოლველად.

თორემ ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი თავად-აზნაურობის ახალგაზდობა, რომელსაც არც ცოდნა აქვს და არც ღონისძიება ცოდნის შესაძენად, გარდა იმისა რომ თავის ოჯახისა, ქ ქვეყნისათვის გამოუსადეგარი რჩება, თვით მთავრობასაც მრავალს უსიამოვნებას და დაბრკოლებას შეახვედრებს: მთავრობას, უეჭველია, გაუჭირდება გზა-შარაზე დარჩენილ დღეს ამ წოდების უმრავლესობის მოვლა და ჭირისუფლება!

ყოველი გასული დღე გვარწმუნებს რომ თავად-აზნაურობის ახალგაზდობას დროზე უნდა მიშველება, ის ძალა და ენერგია, რომელიც ამ წოდებას უთუოდ საკმაოდ აქვს, საჭიროა სახეიროდ ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის იქნას მოხმარებული და არა სავნებლად და საზარალოდ.

რასაკვირველია სამაგალითო ფერმების დაარსება უებარ წამლად არ გამოდგება ყველა ჩვენის სენისა და სატკივრის განსაკურნებლად, მაგრამ ამ ფერმების დაარსება ისეთ ღონისძიებად ჩაითვლება, რომელიც ბევრად და ბევრად

## ფელეტონი

—

### პასუხი ბატონს სილოვანს

(დასასრული *)

მოგახსენეთ წინა წერილში, რომ უ ბატონის სილოვანის პროექტი ასრულდა შესახებ ქართულის ენის გაუმჯობესობისა, ფორმების შერეულობა მოხდება-მეთქი. ბატონი სილოვანი ამ გაუმჯობესობისათვის ბევრს რასმე თხოულობს. იგი, პირველად, თხოულობს, რომ კეთილხმოვანების გასაძლიერებლად ზმნების წარსულის დროის დაბოლოებას დ ნ ე ნ გამოაკლდეს პირველი ნ და დარჩეს დენ. გავუგონოთ, გამოვაკლოთ და დავაკვირდეთ, რა ნაყოფს მივიღებთ. ავიღოთ ზმნები: წასვლა და წადენა; მივცეთ წარსულის დროს ფორმა: წავიდნენ, წავიდენ. გამოვაკლოთ პირველს ზმნას ნ და რა შეგვრჩება ხელში? მეორე ზმნა, რომელიც სრულიად სხვა მოვლენას ნიშნავს. მაშასადამე ამ ცვლილებას შედეგად მოჰყვება უაზრობა მოყვანილს მაგალითში, და ბევრს სხვებს ფრაზებშიაც. ამას ცხადად დაგვანახვებენ შემდეგი მაგალითები. ავიდნენ ისინი ზევით, ავიდენ მე ბოლსა, მოვიდნენ ისინი ჩვენსას, მოვიდენ მე ოფლსა, ადგნენ სტუმრები ზეზე, ადგენ წიგნსა, მიდგნენ ბავშვები იქით, მიდგენ შენ მე არზასა, შეუდგნენ მოგზაურნი მთასა, შეუდგენ იმას ქალალდსა, მომიცდნენ მუშები, ნუ მომიცდენ ყანას, ასცდნენ გზასა, აცდენ შენ მუშაობასა, იდგნენ ქალები ბანზედ, იდგენ რასმე გონებაში, გავიდნენ ისინი წყალში, გავიდენ მე წყალსა, წაადგნენ ისინი თავსა, წაადგენ შენ იმას საჩუქარზედ, ჩავიდნენ ძირსა, ჩავიდენ ცუდს საქმესა და სხვანი... ერთი სიტყვით, მრავლობითი რიცხვი ერთი საგნისა იქცევა მეორე ზმნის მხოლოობითს რიცხვად.—მეორედ, თხოულობს ბატონი სილოვანი, რომ ზმნების სათაურში გამოტოვებულ იქმნას ასო ს: ცდილობს და არა სცდილობსო, ცხოვრობს და არა სცხოვრობსო. ეს ზმნები აიტანენ ამისთანა დანაკლისსა; მაგრამ სხვა ბევრი ზმნა ვერ შეიმშვნევს მას და მოხდება ისეთივე არევ-დარევა, როგორიც ზევით აღვნიშნეთ. მისდგა და სცემა, მიდგა იქით, ასცდნენ ისინი გზასა. აცდენ შენ საქმეზედ მას, შესდგა იმან ბოთლი მაღლა, შედგა ის გზაზედ, ჩასდგა იმან სალვინე წყალში, ჩადგა ქარი, ასდგა იგი ზეზედ, ადგა თავს მას ბიჭი, მოსცდა ის საქმესა, მოცდა მინდა, დასცდა იგი მიზანსა, დაცდა მომიხდება, წასდგა ფეხი წინ, წადგა თვითონ ვისიმე წინაშე, გასდგა სურა გარეთ, გადგა თვითონ განზედ, გასჭრა ვაშლი იმან, გაჭრა გამიძნელდა ხისა, გასწერა მამასახლისმა ხარჯი, გაწერა ხარჯისა დაუგვიანდა მამასახლისსა, მისწერა ნიკომ წერილი, მიწერა წერილისა აღარ მამინდა, გასჭიმა ჭაპანი, გაჭიმა ჭაპანისა ვერ მოახერხა, სწერა ვანომ, წერა ვანოსი მოსაწონია, სჭამა ვასომ, ჭამა უნდა ვასოსა, გამოსჭრა ქალმა საკერავი, გამოჭრა ყელისა, დასჭრა შეშა, დაჭრა შეშისა და მრავალნი სხვანი.

აგრეთვე ერთმანეთში შეურევს ზმნების ფორმებს მესამე რეფორმა, რომელსაც დაჟინებით გვირჩევდა ბატონი სილოვანი წინად. ეს გახლავთ ჰ-ს გაუქმება ზმნებში. ზმნას ჰყავის რომ პირველი ასო მოაკლო, გამოვა ნათესაობითი ბრუნვა ფრინველის სახელისა: ყვავ-ის. გაჰყო წყალი ხმელეთისაგან, გაყო მან ხელი გარედ; დაჰყო ივანემ ხანი იქ, დაყო მთელი ნაწილებად; მიჰყო პირი და გალანძღა, მიყო მან ცუდი საქმე; შეჰკრა ძნა იმან, შეკრა ძნისა მიშველა, ჩაჰკრა თავში ხელი, ჩაკრა პურისა თონეში ძნელია, შეჰმუსრა მტერი, შემუსრა მტერისა სასიქადულოა, ჰქმნა კეთილი საქმე, ქმნა სიტყვაზედ ბევრით ძნელია, ღმერთმან შეჰქმნა ქვეყანა, შექმნა ქვეყნისა ღვთის საქმეა, ჰკრა ვირმა წიხლი, კრა წიხლისა ვირმა იცის, გაჰკრა ტოლ-კვესი, გაკრა ტოლ-კვესისა და სხვანი.

შემდეგ ჩვენი მობაასე ბრძანებს: „სიტყვები წინადადებაში მარტივათ, უბრალოთ უნდა დავაწყოთ; მაგალითად: ქვეყნის დიდი საქმე თავ-განწირვას ითხოვს და არა ასე: ითხოვს თავ-განწირვას დიდი საქმე ქვეყნისა. ერთსაცა და მეორესაც სტილის ფილოსოფია ამჯობინებს შემდეგს დაწყობილებასა, რომელიც სრულიადაც არ ეჩოთირება წმინდა ქართულს ენასა: დიდი საქმე ქვეყნისა ითხოვს თავ-განწირვასა. ჩვენ ეს საგანი დაწვრილებით გავმარტეთ აკაკისადმი მიმართულს წერილში და აქ აღარ გამოვეკიდებით ხელ-მეორედ...

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას დაბოლოებას სიტყვებისას: «მარტივათ, უბრალოთ». ამ სიტყვებს შემთხვევით არ ათავებს ბატონი სილოვანი ასოთი თ. იგი ყოველთვის ხმარობს ამ ფორმასა და მას ხშირად აძლევს ბანს „კვალის“ რედაქციაცა. ესეც უკანონობა გახლავთ, რომელ-

*) იხ. „ივერია“, № 175.

გააუმჯობესებს და წესში მოიყვანს ჩვენის ერის ცხოვრებას.

მეველე

# ახალი ამბავი

*** წლევანდელმა საზოგადო კრებამ ბანკისამ დაადგინა, რომ შეიცვალოს და შეივსოს ზოგიერთი მუხლი ბანკის წესდებისა, ასპარეზს ბანკის მოქმედებისას გაემატოს და ბანკს დაუმტკიცდეს სამუდამო საკუთრებად არწრუნისეული ქარვასლა სახლითურთ ფრეილინის ქუჩაზე. გამგეობამ ბანკისამ, მოამზადა-რა ყოველ ამ საგანზე საჭირო ქაღალდები, დაადგინა გაგზავნოს პეტერბურგს წევრი გამგეობისა თ. ავალიშვილი, გაატანოს თან ეს ქაღალდები და მიანდოს შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რომ განაჩენები საზოგადო კრებისა დამტკიცებულ იქმნას. ამასთან გამგეობას, საზოგადო კრების გადაწყვეტილებისამებრ, ნება დაურთავს თ. ავალიშვილისათვის დაეთანხმოს სამინისტროს, თუ ვინიცობაა სამინისტრო იმისთანა ცვლილებას მოითხოვს, რომელიც ბანკის ინტერესებს და სურვილს საზოგადო კრებისას არ ეწინააღმდეგება. ამ დღეებში თ. ავალიშვილი წავა პეტერბურგს ზემოხსენებულ მინდობილობის აღსასრულებლად.

*** წელს შესდგა წესდება სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობის კრედიტის საზოგადოებისა, რომელიც აქაურ მართებლობის მოწონებით წარდგენილ იყო დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროში. ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთი ცვლილება საჭიროდ დაუნახავს და გამოუგზავნია თითონ პროექტი, რომ მის მიერ ნაჩვენებ ცვლილებისამებრ ზოგიერთი მუხლი პროექტისა შესწორდეს და ხელ-ახლავ წარედგინოს სამინისტროს დასამტკიცებლად.

*** მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი ტფილისიდგან მარტყოფის მამა ანტონის მონასტერში გაემგზავრა.

*** გუშინ, აგვისტოს 17-ს, კოჯრიდგან ტფილისს ჩამოვიდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი.

*** ხვალ ტფილისში ოსმალეთის ქვეშევრდომნი დღესასწაულობენ ხონთქარის ტახტზედ ასვლას. ამის გამო ოსმალეთის ელჩი დილის 10 საათიდგან 2-მდე მიიღებს მიმლოცავებს: სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ელჩებს და ჩვენის ადმინისტრაციის წარმომადგენელთ.

*** კავკასიის გზათა ოლქის უფროსს მოუმზადებია მოხსენება გზათა მინისტრისათვის სუხუმის ნავთ-სადგურის განკარგების შესახებ. ამასთანავე ინჟენერი სტატკოვსკი ბ-ნ გზათა მინისტრს წარუდგენს თავის პროექტს კავკასიის მთებზე რკინის გზის გაყვანის შესახებ და, თუ მინისტრი ინებებს დათვალიერებას, ზოგიერთ ადგილებს უჩვენებს, სადაც რკინის გზამ უნდა გაიაროს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ სამხედრო უწყებას უთხოვნია გზათა მინისტრისათვის, გამოიკვლიეთ გზა სადგურ ქობულეთიდგან ბათუმამდე რკინის გზის გასაყვანად, ისე რომ ზღვის მხრიდგან ეს რკინის გზის ლიანდაგი არა სჩანდეს, რომ მტერს ომის დროს არ შეეძლოს ყუმბარებით დაუშალოს ბათუმსა და ტფილისს შუა მატარებლების მისვლა-მოსვლას. ამისათვის რკინის გზის ლიანდაგი გაყვანილ უნდა იქმნეს ციხისძირის მთების შუა.

*** ბათუმიდგან გვწერენ, რომ ბ-ნმა სოლოვცოვმა ამ დღეებში მესამედ მოჰკრიბა ჩაი. პირველ მოკრებამ ბ-ნ სოლოვცოვს მისცა 15 გირვანქა ჩაი. ჩაი კარგის ფერისა და გემოსია, ასე რომ ჩინეთიდგან მოსულ ჩაისაგან ვერ გაარჩევს კაცი, მხოლოდ ისეთი სასიამოვნო სუნი არა აქვს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ამ ნაკლს თავიდგან აიშორებენ. ბ-ნ სოლოვცოვს ჩაქვის ჩაი გაუგზავნია გასასინჯად პეტერბურგში.

*** ქუთაისიდგან გვწერენ, რომ 9 აგვისტოს იქაურ სომხის მღვდელს ტერ-დავით იარალიანცს წარმოუთქვამს წინაშე თავისის მრევლისა ეკკლესიაში სიტყვა შესახებ სვანების დამშევისა. მრევლს თანაგრძნობით მიუღია თავის მოძღვარის სიტყვა და იქვე შეუკრებიათ რამდენიმე ფული, რომელიც გადაეცათ პრინცის ოლდენბურგის და გუბერნიის მარშლის მეუღლეთ მისაწვდენად დამშეულთათვის.

ეს საპატიო მანდილოსანნი იმ კომიტეტის ხელმძღვანელად არიან, რომელიც დაარსებულია ქუთაისს სვანთეის დამშეულთათვის და რომელიც შესაწირავს ჰკრებს ამ კეთილის განზრახვისათვის.

*** ამ თვის ბოლოს, იმედი აქვთ ბორჯომსა და ხაშურს შორის დაიწყება რკინის გზის მიმოსვლა, რადგანაც ყველაფერი თითქმის მზად არის.

*** გვატყობინებენ, რომ ფოთის ელევატორის გასამართავად შემდგარ ამხანაგობის წარმომადგენელი თავადი დიმიტრი ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი აპირობს მოგზაურობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, რათა გააცნოს მემამულეთ პროექტი ამხანაგობისა ელევატორების გასამართავად, სიმინდისა, შავის ქვისა და სხვა ნაწარმოების მისაღებად და საზღვარ გარედ გასაგზავნად. ამ საქმეში თავადს თუმანიშვილს დახმარება აღმოუჩინეს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნატორებმა და მისცეს კიდეც მიწერილობა მაზრის უფროსებთან, რათა მათ თავის მხრივ ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინონ.

*** იმერეთი: ვინც-კი ცოტადაც არის დაუკვირდება დღევანდელს ეკონომიურს მდგომარეობა'ს იმერეთისას, ჩემთან ერთად იტყვის, რომ იმერეთი ამ ჟამად მეტად დიდს გასაჭირში'ა. მეურნეობა თითქმის სრულიად დაეცა. ვენახები ფილოქსერამ დღეს თუ ხვალ ლამის სრულიად გააქროს, სიმინდის მოსავალმა ერთი ოთხად იკლო (შარშან ხომ ზემო-იმერეთში სიმინდი სრულიად არ მოსულა), ლობიო სრულიად მოისპო, პური ხომ ქცევაზე ოცი თუ ოცდა ხუთი ბათმის მეტი არ მოდის. თან მიწის სიცოტავე, თან მოუსავლობა, თან მეურნეობის უცოდინარობა და თან მიწის ნოყიერების გამოცლა იმერეთს დიდს განსაცდელს უქადის.

ამ ჟამად იმერეთშიაც აპირებენ ქართლ-კახეთის მსგავსად ესრედ წოდებულ „ნასწავლი მამასახლისები“ აარჩევინონ სოფლის საზოგადოებათ. ამისათვის სოფლებს განუცხადეს ოროლი საზოგადოება შეერთებულიყო, მაგრამ ხალხმა ბევრგან უარი განაცხადა, რადგანაც ორი საზოგადოების სოფლები ძრიელ დიდს ადგილს იჭერს და მისვლა-მოსვლაც უგზოობის გამო საძნელოა.

*** განჯიდგან სწერენ გაზ. „ნოვ. ობ.“: ამას წინად ჩვენს ქალაქში მოსული ფოტოგრაფი (რუსი) 10 აგვისტოს თავის მეუღლით რკინის გზის სადგურიდგან განჯაში მოდიოდა. ერთის თათრის ბაღს რომ მოუახლოვდნენ, ვიღაც ავაზაკებმა რევოლვერები ესროლეს და ორთავენი მოჰკლეს. ქმარს ხუთი ტყვია მოხვდა, ცოლს ოთხი. მოკლულნი ძლიერ ღარიბნი იყვნენ; დარჩათ 4 წვრილშვილი. პოლიცმეისტერის მეთაურობით განსვენებულ ცოლ-ქმართა დასასაფლავებლად და ობლებისთვის ხელის-მოწერით ფული შეაგროვეს. ავაზაკების აღმოსაჩენად სასტიკი ღონისძიება არის მიღებული.

*** გაზეთი „კასპი“ იწერება, რომ ჰაჯი ზეინალ ტაგიევს მთავრობამ ნება დართო დააარსოს ბაქოს მახლობლად საბალოსნო სკოლა. ამ საქმისათვის სამასი ათასი მანეთია თურმე საჭირო.

8 ამ თვისას სურბ-სარქისის ხევში მცხოვრებელი 26 წლის მაკო პეტროსოვისა ბაღდასაროვის წისქვილთან მტკვარში გადავარდა, მაგრამ მალე მიეშველა მურად ასატუროვი და წყლიდგან ცოცხალი ამოიყვანა. ქალმა განაცხადა, ჩემის ქმრის ღლთობის გამო მოვიწადინე თავის დარჩობაო.

## მთავრობის განკარგულებანი

გამორიცხულ იქმნენ სიაზგან სიკვდილის გამო: კაპიტანი ნიკო ჩიქოვანი, ზოდპორუჩიკები: თეიმურაზ მაჭავარიანი, სარდარ ჯაფარიძე, თავადი როსტომ ნიჟარაძე, თავადი გიორგი მიქელაძე და თავადი ხასჲ ფაღავა, პრაპორშჩიკები თავადი ბიჭია ასათიანი, თავ. ქაიხოსრო მხეიძე და თავ. ალმასხან წულუკიძე.

## კორესპონდენცია

**სოფ. ობჩაში** (იმერეთი) ერთი აქაური აზ. მეუღლეს პ. ჯ.—ს აქციზის მოხელემ თვალ-ყურის დევნება დაუწყო, რადგანაც შეატყობინეს ეს საპატიო ქალი არაყსა ხდისო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მანდილოსანი აქციზის მოხელეზე უფრო მოხერხებითა საქმობდა და ამიტომ ვერა გაუგო-რა. ამ თვის პირველ რიცხვებში აზნაურის მეუღლემ ამ სოფლისავე ერთის გლეხის ქვრივიდგან მჟავე იყიდა და ასე უთხრა: „მჟავეები სხვებიდგანაც ბევრი მაქვს ნაყიდი, ნება მომეცი ყველა აქ მოვაგროვო და გამოვხადო არაყი, რადგან ასეთი მოხდენილი ღელე, როგორც ამ შენს ეზოში ჩამოსჩახჩახებს სხვაგან არ იპოვებაო“. გულ უბრყვილო გლეხის ქვრივმაც ნება დართო.- აზ. მეუღლემ ბიჭებს თავის სახლიდგან საარაყე ქვაბები ჩამოატანინა ქვრივის ეზოში და გააჩაღა ღელეზე არაყის ხდა; ერთი ბიჭი მახლობელ სერზედ დააყენა დარაჯად, რომელსაც დაავალა დაუყოვნებლივ ეცნობებინა, თუ ვინმე საეჭო კაცი გამოჩნდებოდა. მართლაც ბიჭმა მალე ქალბატონს აცნობა აქციზის მოხელე მოდის და თავს უშველეთო. ქალბატონმა იკადრა გაქცევა და ბიჭებიანა სიმინდებში დაიმალა. აქციზის მოხელე პირდა-პირ იქ მივიდა, სადაც არაყი იხდებოდა და იკითხა: „ვინ ინებეთ, ნება დაურთველად არაყის ხდა“? გლეხის ქვრივმა უპასუხა, რომ ეს არაყი და მოწყობილებაც ეკუთვნის ამ და ამ კაცის მეუღლეს, რომელიც განა თუ ეხ[ლ]ა, წლიდან წლობამდე, არაყსა ხდის და ეხლაც აქ გახლდათ, მაგრამ უეცრად გაიქცა ბიჭებიანა და რა მიზეზია არ ვიციო. აქციზის მოხელემ დედაკაცს ოქმი შეუდგინა. რასკვირველია, თუ საქმე არ გამოირკვა, ამ საწყალ ქვრივს სასტიკი სასჯელი მოელის და დამნაშავე-კი განზედ დარჩება. ამიტომაც სასურველია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ ვისიც ჯერ არს და მართალს გაანთავისუფლებდნენ.

ჩ.

**სამეგრელო.** როგორც მოეხსენე-

---

საც მისდევს იგივე შედეგი—არევდარევა ერთმანეთში სხვა-და-სხვა საგრამატიკო ფორმებისა. „უბრალოთ“ ზმნის-ზედაა, დაბოლოება-კი მიუცია ჩვენს მობაასეს ზედ-შესრულის მრავლობითი რიცხვისა: უბრალო, უბრალოთა, უბრალოთ. ავიღოთ სხვა მაგალითები: წმინდა, მხნე, ბლუ, მრავლობითს რიცხვში ეს სიტყვები ასე დაბოლოვდებიან: წმინდათა, წმინდათ, მხნეთა, მხნეთ, ბლუთა, ბლუთ. როცა ესენი ზმნის-ზედას ნიშნავენ, უთუოდ თავისი საკუთარი დაბოლოება უნდა დაერთვათ. საქმე მხოლოდ იმაშია, ქართულს ზმნის-ზედას აქვს თავისი საკუთარი დაბოლოება, თუ არა? დიახ, აქვს. იგი თავდება ასოთი დ: წმინდად, უბრალოდ, მარტივად, ბლუდ, მხნედ, სრულიად, ყოვლად და სხვ. „კვალში“ ყოველს ამ ზმნის ზედას ბრუნვის ასოთი ათავებენ და სწერენ: წმინდათ გადავწერე, მხნეთ იყო, ბლუთ მეჩვენა. ამითი არა თავდება უხერხულობა ამ მოუსაზრებელის ჩვეულებისა. ორს ამ ხსენებულს ფორმაში ურევენ მესამე ფორმასაცა, სახელდობრ ზმნის ზედათი ბრუნვასა: რიონი დიდ მდინარედ ითვლება, ხვლიკი ჯოჯოდ მეჩვენა, სერი მთად დავსახე. ბრუნვას: მდინარედ, ჯოჯოდ, მთად „კვალი“-ს წინამძღოლნი სწერენ: მდინარეთ, ჯოჯოთ, მთათ, რის გამო მხოლოობითი ბრუნვა მრავლობითის ბრუნვის სახეს იღებს და დომხალივით ირევიან სხვა-და-სხვა ფორმები. მიუცილებლად საჭიროა, ზმნის ზედითი ბრუნვას ებას ბოლოზედ ასო დ, და არა ასო თ, რომელიც ათავებს ყოველს სიტყვას მრავლობითს რიცხვში *), წინააღმდეგს შემთხვევაში ჩვენს ქართულ ენას უკან დავწევთ და დავამგზავსებთ იმ უდღეურს და უსრულს ენებს, რომელნიც იმდენად ღატაკნი არიან ფორმებითა, რომ ერთსა და იმავე დაბოლოებას სხვა-და-სხვა ჯურა სიტყვებისათვის ხმარობენ.

აგრეთვე უპატივცემლოდ მიმართულებას აძლევენ ქართულს ენასა ბატონი სილოვანი და ზოგნი მისნი თანამეკალმენი და აგრეთვე „ივერიელნიცა“, როდესაც იგინი ზედ-შესრულს, რიცხვითს სახელს და ნაცვალ-სახელს ჰკვეცენ ბრუნვის დაბოლოებას სახელი არსებითთან შეკავშირების დროსა და სწერენ: ქართულ ენისა, ქართულ ენასა, ქართულ ენამა, ქართულ ენით, ქართულ ენაო და სხვანი. გამოდის არა სრული ბრუნვა, არამედ ნახევარ-ბრუნვა: წინამძღოლი ზედშესრული უცვლელად რჩება, თითქო ცვალებითი სიტყვა არ იყოს, და ცვლილობს ელფერს მხოლოდ სახელი არსებითი. სრული შეთანხმება სიტყვებისა არის თვისება გაფურჩქვნილის ენისა, რომელსაც მაღალ ხარისხამდე აუწევია. ჩვენ-კი ქართულს გაშლილ ფორმებს ვკრეჭავთ, ვსხლავთ და უდღეურის ენის სახეს ვაძლევთ. მართალია, ზოგი დასართავი სიტყვა ვერა მშვენობს დაბრუნებას სახელი არსებითთანა, მაგრამ განა ეს საბუთს გვაძლევს ის სიტყვებიც ამ ვიწრო ტაფაში მოვაქციოთ, რომელნიც დაწინაურებულან და სრული შეთანხმების შეძლება შეუძენიათ. ზემოდ მოყვანილს მაგალითებში ზედშესსულმა უთუოდ უნდა მიიღოს ხოლმე შემდეგი სახე: ქართულ-ისა ენისა, ქართულ-სა ენასა, ქართულ-მა ენამა, ქართულ-ი**) ენით, ქართულო ენაო და სხვანი. ეს ორპირი შეთანხმება იმიტომ არის სასურველი, რომ პირველივე სიტყვის დაბოლოება ატყობინებს ადამიანს, თუ რომელი ბრუნვაა ნახმარი, აზრს მალე იგებს და გონება სწორე გზაზედ სწრაფად მოძრაობს. წინააღმდეგს შემთხვევაში, როდესაც პირველი სიტყვა უცვლელად რჩება, ადამიანმა არ იცის, რა იფიქროს, ხშირად სხვა ბრუნვას იდგენს გონებაში, აზრი ერევა, შეცდომაში შედის და ამ ბრუდე გზიდგან სწორე გზას მაშინ გადაუხვევს ხოლმე, როდესაც მეორე, დაბრუნებულს, სიტყვას ამოიკითხავს, ბოლომდის ან გაიგონებს. უაზრობა, აზრის განუსაზღვრელობა, შემცდარნი წარმოდგენანი, დროს დაკარგვა,—აი ნაყოფი ამ გვარის შეუთანხმელობისა. ამიტომ იგი ყოველთვის აბრკოლებს მეტ ნაკლებობით სალსა და სწრაფსა მოძრაობას გონებისასა.

ამბობენ: ერთისა და იმავე დაბოლოების გამეორება ორსავე სიტყვაში კეთილ-ხმოვანებას არღვევსო. უფრო მეტი ზარალი მოსდის ამ კეთილ-ხმოვანებას იმის გამო, რომ წანა, დასართავი, სიტყვები თავდებიან უხმო, ყრუ ასოებით, რაც ეწინააღმდეგება ქართულის ენის თვისებასაც, რადგანაც იმას ეუცხოვება უხმოდ დაბოლოება სახელებისა, და სრულ-ხმოვანობის მოთხოვნილობასაც საზოგადოდ... ამ სახით, რომელი დასართავი სახელებიც-კი იმშვენევენ სრულს შეთანხმებასა, ამ შეთანხმებით უნდა იხმარებოდნენ უთუოდ.

*) გარდა იმ სახელებისა, რომელნიც დაბოლოვდებიან ასოთი ი.

**) შენიშვნა. აქ ბრუნვის დაბოლოებას (ით) აკლდება ერთი ასო თ, თანახმად ქართულის ყურის მოთხოვნილობისა და ხალხის გამოთქმისა. მაგრამ თუ ამ გამოკლებულს უხმო ასოს თან გავადევნებთ ხმოვანს ასოსაც ი, როგორც ამას ჩადის ბატონი სილოვანი და ბევრნი სხვანიც, მაშინ ჩვენ სრულ-ხმოვანს დაბოლოებას ყრუ დაბოლოებად გადავაქცევთ, კეთილ-ხმოვანებას შევლახავთ და ხალხის გამოთქმასაც დავამახინჯებთ.

ბა მკითხველს, აგერ ოთხი წელიწადია, რაც მეგრელთა თავადნი, თუ აზნაურნი ძალიან გაჭირვებაში არიან. მიზეზი არის თავად-აზნაურობის დამტკიცება. ასე გასინჯეთ, რომ ვისაც სახლში საჭმელი მჭადიც არა აქვს, ისიც მისდევს მაგ საქმეს, ჰყიდის რაც სახლში აბადია და თუ არა, სესხულობს სხვისგან, ან დგება მოჯამაგირეთ, ერთის სიტყვით ყოველ ღონისძიებას ჰხმარობს თავის გულის წადილის ასასრულებლად; რასაკვირველია, რომ მეგრელთა შეუძლებელი თავად-აზნაური უფრო ბევრია, ვიდრე შეძლებულნი. საიდგან უნდა გვქონდეს რამ, როცა მოსავალი არ გვიწყობს ხელს, მთელს ჩვენს სიმდიდრეს შეადგენს სიმინდი და სხვა არაფერი, ისიც-კი ფასად არ იყიდება.

ამ უბედურებას მოჰყვა მეორე უბედურებაც. ეს ჩვენი აზნაურობის საქმის დამტკიცება აგერ ოთხი წელიწადი გავიდა და ჯერ ათს თავად-აზნაურიშვილს არ დაუმტკიცებია თავისი უფლება. აი ის აზნაურთაგანნი, რომლებიც უკვე არიან დამტკიცებულნი კორზახია, გამსახურდია, კორზირია, ლოლუა, ჩხეტია, სეცია, ფალავა, დგებუა. 26 ივლისს კიკიანებმა თავისი აზნაურშვილობის საბუთები წარადგინეს. სხვები-კი ჯერ ისევ ზოგი საბუთებს ეძებს, ზოგი მეტრიკას და უნდა დახარჯოს ოცი თუმანი და ერთი წელიწადი მოუნდეს მაგის გამოტანას და ამასობაში მიდის დღე-დღეზედ, — წელიწადი-წელიწადზედ...

**სოფ. წესი.** 9 აგვისტო. წელს აქ ძლიერი გვალვა არის. ერთი სიტყვით, მრთელს დედამიწას ალმური ასდის. პურმა ღვთით მოასწრო გვალვას, და წლევანდელის პირობაზე, გვარიანათ მოვიდა, მაგრამ, მარტო პურის მოსვლა ვერას იზამს, თუ სიმიდი და ღვინოც არ იქნა. პური იმდენი არ მოუვა აქაურს მცხოვრებს გლეხს, რომ მთელი წელიწადი საზრდოთ ეყოს. აქ მცხოვრებთათვის საზრდო მეტი წილი სიმინდია. წელს გვალვამ ძლიერ გლახა ფერი დასდვა სიმინდებს, აგერ აგერ მოსაჭრელი გახდება და ტარო-კი არსად უჩანს. საწყალი გლეხები შარშანდელი დაზარალებული ქინახულის მოუსვლელობით, წელსაც გულ დაწყვეტილი უცქერიან თავ თავის ნამუშავარს. ორი გლეხი არ გამოერჩევა იმისთანა მთელ სოფელში, რომ თავის ნამუშავარი მთელ წელს ეყოს. შარშანდელს აქეთ სულ ყიდულობენ საზრდოს. შარშანდელი დაზარალებულნი წელსაც ამისთანა ამინდის მაცქერალნი გლეხნი სწორედ, სასოწარკვეთილებას ეძლევიან. დარჩენიათ მხოლოთ ერთი იმედი: უნდა გაჰყიდონ ვენახი, ან ყანა და მათი ფასით იყიდონ სიმინდი ცოლ-შვილისათვის. რამდენიმე გლეხი აპირებს აყრას და გადასახლებას სალიგვერდაში (ოსეთში). თუ ჰკითხავ, იქ ვინ მოგცემს საზრდოს თქო, მაშინ გლეხი პასუხათ მოგიგებს: დღე და დღე ვიმუშავებ და ისე ვარჩენ ცოლ-შვილსაო. ყურძენიც ერთობ დააზარალა ამ გვალვამ, სხვიმის ამ დროს მტევანი გათავებული ყოფილა, და წელს ვგონებ სექტემბერშიაც თუ იქნეს მწიფე, ისიც წვრილ მარცვლიანი, როგორც ტყის ყურძენი. აქვე სოფ. წესს ახლოს სძევს სოფ. კვარცხუთი, აქ იციან დღესასწაული 6 აგვისტოს ფერისცვალება. წელს ფერისცვალებას აქ ბევრი ხალხი იყო. იმისთანა მოსახლეს ვერ შეხედავდი მთელ სოფელში, რომ სტუმარი არ ჰყოლოდეს სახლში. ყოველ სახლიდამ ისმოდა სიმღერა: „ქვედრულა მოდიდებულა ქელეს ჩამოდგა ლაშქარი“ და სხვა. სადილს შემდეგ ხალხი ჩვეულებისამებრ რიონის პირზე ჭალაში შეიკრიბნენ სათამაშოთ, და სამღერალათ. ამდენს ხალხში ერთს ვერ ნახავდი ფხიზელს, მთვრალი კაცები ბუზებივით ირეოდნენ ერთმანეთში. უცბად ხალხი შეიჯგუფა, შეიქნა ერთი წივილ-კივილი, დაერივნენ მთვრალი ხალხი ერთმანეთს მუშტით, ჯოხით და ხანჯლით სულ თავ-პირს ამტვრევდნენ ერთმანეთს. დიდი უბედურება მოხდებოდა აქ, თუ არ დასწრებოდა ერთი პოლიციის მოხელე ს. კვიტაშვილი ორის იასაულით. სადაც ჩხუბი შეიქნებოდა მივარდებოდა და მათრახის ცემით გაჰფანტავდა ხალხს იქეთ აქეთ. ამ აყალ-მაყალმა გასწია თითქმის საღამომდე. საღამოს დაიშალა ხალხი. ყველამ თავ თავის სტუმარს მოჰკიდა ხელი და ოჯახებისაკენ გაემგზავრნენ. მოვიდნენ გლეხის როსაბა აბაშვილის ჭიშკართან თუ არა, ერთი წივილ-კივილი მოისმა. მივარდა პოლიციის მოხელე ს. კვიტაშვილი. და ნახა მძიმედ დაჭრილი ბარკალში ს. ბარს მცხოვრები გლეხი კოსტა კახეთელიძე. საწყალი დაჭრილი გულ წასული ეგდო და სისხლი ღვარათ მისდიოდა. პოლიციამ დაჭრილს ზრუნვა დაუწყო, მხოლოთ დამჭრელი იქ არა სჩნდა. მეორე დღეს გამოიძიეს და აღმოჩნდა დამნაშავე სოფ. ბოსტანას მცხოვრები გლეხი იასონ ჯოხაძე დამნაშავე ქუიპყრეს და მაზრის უფროსთან გაგზავნეს.

კვაცხეთში საქონლის ჭირით არის მოდებული მთელი სოფელი, ამდენ გვალვას ეს აკლდა და ესეც დამატა „დამწვარს დამდუღვრა მოუხდებაო“ ამისი არ იყოს, ისე მოუვიდათ საწყალს გლეხებს. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს, რათა არსად გადავიდეს ეს მავნებელი სენი.

## რუსეთი

რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ მოკლე ხანში აკურთხებენ მშვენიერს საჯვარეს, რომელიც აგებულია ლერმონტოვის სახელის სახსოვრად მის მამულში, პერმის გუბერნიის სოფელ ტარხანში. ლერმანტოვის გვამი ასაფლავია მის პაპისა, ბებიასა და დედის გვამთან ერთად. ამ ადგილას უწინაც იყო საჯვარე, მაგრამ ძლიერ დაძველდა და ჩამოქცევას აპირებდა. 1891 წელს, როცა ლერმანტოვის გარდაცვალების დღიდგან 50 წელი სრულდებოდა, ზოგიერთებმა ეს გარემოება შეატყობინეს სალიტერატურო ფონდის გამგეობას, მაგრამ ამან ამ ამბავს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ახალი საჯვარე აგებულ იქმნა სახელოვან პოეტის ნათესავთა და ნაცნობებ შორის შეგროვილ ფულით. საჯვარეში არის წიგნი, რომელშიაც თავის სახელსა და გვარსა სწერენ ისინი, ვინც იქ მისულა პოეტის ნაშთის პატივსაცემლად. საკვირველი ის არის, რომ წიგნში უფრო მეტს უცხოელს უწერია ხელი, ვიდრე რუსებს.

## უცხოეთი

**კორეა.** იაპონიის ლიბერალთა დასმა გამოაცხადა მანიფესტი და ამბობს, იაპონიის ჯარი ჩინეთს უნდა დაეცეს და ჩვენც ჩინეთს მხოლოდ მაშინ შევურიგებდით, როცა ჩვენი ჯარი პეკინში იქმნებაო.

ჩინელებს თანდათან შეეჯავრათ უცხოელნი. გაზეთს «Daily Telegraph»-ს სწერენ შან-ჰაიდგან:

ვეი-ჰანის ტყვია-წამალის საწყობის დარაჯებმა თოფები დაუშინეს იმ უცხოელთ, რომელნიც წინად ამ საწყობში მსახურებდნენ და ომის გამო დათხოვნილ იქმნენ. უცხოელთა უმეტესი ნაწილი შოტლანდიელები და ინგლისელები არიან. დარაჯებმა იმ დროს დაუშინეს თოფები უცხოელთ, როცა ისინი საწყობიდგან გამოდიოდნენ. საბედნიეროდ, არც არავინ მოჰკლეს და ვერც დასჭრეს. ვენის გაზ. „Politische Correspondenz“-ს სწერენ პარიჟიდგან, — ტყუილია, ვითომც საფრანგეთისა და ლონდონის მთავრობას ეთქვას იაპონიისთვის, ჩვენ არ მოვითმენთ, თუ იაპონიის ჯარი პეკინს დაეცემაო. საფრანგეთის მთავრობა სრულიადაც არ გაერევა კორეს საქმეში.

გაზეთი „Temps“ სწერს: კორეს საქმე მეტად საყურადღებოა შემდეგ სახელმწიფოთათვის: რუსეთისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, შეერთებულ შტატებისა და გერმანიისთვის. ყველა ამ სახელმწიფოს სავაჭრო საქმეები აქვს აზიაში. ჩვენთვის სრულიად მეტია შევეხოთ იმას, რომელ სახელმწიფოს რა დამოკიდებულება აქვს კორეს საქმესთან, ხოლო ინგლისი-კი უნდი ეცადოს, რომ აღმოსავლეთ აზიაში არ გაძლიერდეს ერთ-ერთი ზემოხსენებული სახელმწიფო, ერთი სახელმწიფო მუდამ ჩვენი მეტოქეა და ხანდახან მტერიც. ეს დიდი შეცდომა იქმნებოდა და, რასაკვირველია, ჩვენი შინაგანი სამინისტრო ეცდება კიდეც, რომ ეს არ მოხდეს. ჩვენი საქმე ცხადზედ ცხადია. ჩინეთს სამხრეთიდგან საფრანგეთი საზღვრავს, ჩრდილოეთიდგან — რუსეთი. ამიტომ ჩვენ ამ ორ სახელმწიფოს უნდა გავცეთ პასუხი, მით უმეტესად, რომ რუსეთი და საფრანგეთი ეხლა მეგობრები არიან.

**საფრანგეთი.** როშფორმა გამოაცხადა, ვეცდები ბევრი რამ უკანონო საქციელი გამოვამჟღავნო საფრანგეთის გამოჩენილ მოსამართლეთა მოღვაწეობისაო და ამბობს, ამ საქმისთვის მრავალი საყურადღებო ცნობანი მაქვს შეკრებილიო.

**იტალია.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება და უბრძანა პოლიციის პრეფექტებს, ანარქისტთა წინააღმდეგ ახალ კანონის ძალით, სასტიკი ღონისძიებანი მიიღეთ და ყველგან აკრძალეთ სოციალისტთა კრებანი და კრებათა გამმართველნი სამართალში მიეცით ხოლმეო.

**ინგლისი.** აქ ამბავი მოვიდა, რომ ომის დაწყების დროსვე, კორეს ჯარის-კაცნი თავის მეფის ბრძანებით იაპონელ ჯარს მიუდგნენ და ჩინელების წინააღმდეგ იბრძვიანო. ამ გვარად სჩანს, კორეს მეფე ჩინეთს გადუდგა და იაპონიას მიემხრო.

— ლონდონიდგანვე იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარის ლორდ კიმბერლეის ბრძანებით ნიუ-კესტლში დაიჭირეს კრეისერი, რომელიც ინგლისში ყოფილა გაკეთებული ჩინეთისთვის.

## სამეცნიერო ნაწილი

ჟურნალის „Наблюдатель“-ის უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობანი ბროუნსეკარის მიერ გამოგონილ წამლის შესახებ. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ბროუნსეკარზედ გაცილებით ადრე ბევრსა სცდილობდნენ, ისეთი წამალი მოეგონებინათ, რომ როგორმე ძალ-ღონე მოემატებინათ სიბერის გამო დაუძლურებულ ადამიანის სხეულისთვის. ეხლაც მედიცინაში მიღებულია ძველის ძველად ცნობილი წამლები — წავის ყაირი და მუშკი. ეს წამლები თურმე მეტად ამაგრებს ადამიანის სხეულს. ეხლაც ინდუსები დაუძლურებულ სხეულის გასამაგრებლად ხმარობენ თხისა ან ცხვრის წყვილს, რძეში მოხარშულს. ჩინეთში დიდს მნიშვნელობას აძლევენ

---

შემდეგში, თუ ქართულის ენის წინ მსვლელობას დარი დაუდგა, შეიძლება სხვა დასართავმა სახელებმაც მოიცენ ნიჭი სრული შეთანხმებისა. და თუ პირველის რიგობის დასართავს სახელებს ჩამოვიყვანთ მეორე რიგობის ხარისხზედ, ეს გაუკეთესება-კი არ იქმნება ქართულის ენისა, არამედ მისი დამდაბლება, გაღარიბება და უკუქცევა...

მკითხველი ხვდავს, რომ ქართულნი მწერალნი, გამსჭვალულნი სურვილით — გააუკეთესონ თავისი დედა-ენა, არა ერთს ღირსებას მისი აგებულობისას მსხვერპლად სწირავენ, და რასა? რომელი კერპია ასე ულმობელი? კეთილ-ხმოვანება მოითხოვს ამდენს არევ-დარევას ფორმებისას და უკან დაწევას ჩვენის ენისასაო. უკაცრავად. ჯერ ერთი ესა, რომ კეთილ ხმოვანება ზოგიერთა მსხვერპლს არამც თუ არ ითხოვს, არამედ ამ მსხვერპლით იგი შელახული იქმნება. და თუ ზოგს შემთხვევაში ამას ითხოვს, განა კეთილ-ხმოვანება იმისთანა ბატონია, რომ ენის გაფუჩქვნული ფორმები მის გულისათვის უდღეურო ფორმებად გადავაქციოთ? სრულიადაც არა. იგი უკანასკნელი მაჩანჩალაა და ენაში ჭმავე როლსა თამაშობს, რომელსაც ტკბილეული სადილს უკანა. ეს ერთი, მეორე საბუთი იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ენა, თავისთავად, ბუნებით ისეთი კეთილხმოვანია, ისე ამშვენებენ მას ხმოვანი დაბოლოებანი ყოველგვარი სახელებისა, ნაზხმიანი ასოები: გ, ჰ, თ, ფ, ქ, ძ, რომ კეთილხმოვანებით ვერც ერთი ენა ვერ აჯობებდა, თუ რომ მას არ აზიანებდეს ამ მხრივ ხახის ორი ასო: ყ და ჯ....

მაშასადამე სადილის გაფუჭება ტკბილეულობის გულისათვის ყოვლად უსაფუძვლო საბუთია!...

ჩვენ, ვგონებთ, აღვნიშნეთ მთავარი სადაო ფორმები ქართულის ენისა, რომელშიაც „კვალს“ არ ვეთანხმებით და რომელთაც ჩვენ მივსდევდით და მივსდევთ, როგორც სახელმძღვანელოებში, ისე სხვა ჩვენს ნაწერებში. „კვალს“ ეს არ მოსწონს და გვემუქრება: მინამ ჩვენს ქართულს არ დაადგები, ისრების სროლას არ მოგაკლებთო და ჩვენ ჯარს-ჯამაათს მოგისევთო, მკითხველისათვის მიგვინდვია განსაჯოს, რავდენად საფუძვლიანია, სამართლიანი და პროგრესიული ის გზა, რომელსაც ჩვენ ვადგევართ ქართულის ენის ფორმების ხმარებაში და რავდენად უნდა გვეშინოდეს იმ ყოყოჩურის მუქარისა, რომელიც ჩვენსკენ გამოსტყორცნა, ვგონებ, მისმა დედაბოძმა, უმწიფარესის მოგზაურის ფარაჯაში გახვეულმა.

დავუბრუნდეთ ბატონის სილოვანის მედიატორობასა. ქართულის იმ კუნჭულში, სადაც მდებარეობს ჩემი სამშობლო სოფელი, ერთი კარგი ჩიქორთული ჩვეულება დარჩენილა ძველთა დროთაგან. თუ ვინმემ მედიატორობა იკისრა და საქმეს უდროოდ გაექცა, უთუოდ სამედიატორო სადილი უნდა გადაიხადოს ჯარიმად. თუ დავიდარაბა გადასწყვიტა, გამტყუნებული მხარე უკეთებს მას სადილსა და სხვათა საქმის მოზიარეთ... ბატონმა სილოვანმა იკისრა თვითონ, ჩვენ უხვეწნელად და შეუწუხებლად, მედიატორობა იმ ბაასში, რომელიც ასტყდა აკაკის და ჩემ შორის თერთმეტის სიტყვის შესახებ. მან ჯერ-ჯერობით გაგვასამართლა მხოლოდ ერთს სიტყვაში, თუ ამაზედ შეჩერდა, საჯარიმო სადილს ვერ წაუვა. გარნა, თუ სამართლიანს განაჩენს დაადგენს დანარჩენის სიტყვების შესახებაც, სამედიატორო სადილი ისე შეერგება, როგორც დედის ძუძუ. ვისგან? ჩემგან, თუ მე უფრო მტყუანი გამოვდეგი, და აკაკისაგან, თუ იმას ჩემზედ მეტად წაუფორხილნია დედა ენაში. მშვენიერი სასადილო ჩრდილოვანი მდელო სწორედ შუა ადგილს მოიპოვება. ეს გახლავთ კორტოხის წვერი, რომელიც მხურვალე სიყვარულით დასცქერის ერთის თვალით დასავლეთს საქართველოს, მეორეთი აღმოსავლეთ საქართველოს და სრული გულით უთვლის გამარჯობას ამ ორივე თანასწორს ნაწილს ერთისა და იმავე მთელისა ცივი და ანკარა წყაროების მოჩხრიალე პირით, რომელთაგან ნახევარი იქით მიჩურჩულებს და ნახევარი აქეთა.

აქ, ამ საქართველოს შემაერთებელს ნასკვზედ ვადღეგრძელოთ ისინიც, ვინც წრფელი გულით და სულით მიმართულნი ქვეყნის სიკეთისადმი, ამბობენ: ძველებურად აღგიარებო, და ისინიც, ვინც ახლანდებურად იტყვიან ისევე წრფელად და და მხურვალედ: გაღიარებო. ამასთან ვინატროთ, რათა წვრილმანი თავმოყვარეობა ჩვენში შემცირდეს, ჩვენი ძალა და ღონე არ შევალიოთ გამანადგურებელს შურსა, ჯიბრსა და ჩხირ-კედელაობასა, არ დავემგზავსნეთ საარაკო ყვავსა და სკვითსა, რომელთაც თავსა სჭრიდნენ და ისინი-კი წამწამებზედ და თმებზედ სტიროდნენ, და ჯეროვანი პასუხით აღვიჭურვოთ იმ დუშმანთა მიმართ, რომელნიც გაკადნიერებულნი არიან ჩვენი გაუტანლობით და შინაური განხეთქილებითა.

იაკობ სიმონიძე

სურამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთის ჯიშის ირმის რქას (მორალისას). წამლადა ხმარობენ იმ წვენს, რომელიც შიგ შუა რქაშია. ჩინეთში ჩვეულებად არის, რომ ქალს მზითვად ამ ირმის წყვილ რქას აძლევენ. რუსეთის ვაჭრები ალტაის მთაზედ ყიდულობენ ამ ირმის რქებს და გირვანქას 25—30 მანეთად ჰყიდიან. ყველა ეს ნათლად ამტკიცებს, რომ ბროუნსეკარის ცდა არ ახალია, ძველია, ხოლო ეს სრულებით არ ამცირებს ბროაუნსეკარის მოგონებას და მან ნათლად დაამტკიცა, რომ შესაძლებელი ყოფილა ადამიანის სხეულის მორჩენა იმ წამლით, რომელსაც ხელთ გვაძლევს პირუტყვთა ორგანიზმი.

თვით ბროუნსეკარმაც ეხლახანკი არ აღმოაჩინა ეს ახალი წამლობა. ჯერ ისევ 1869 წელს ბროუნსეკარმა გამოაცხადა, ადამიანის სხეულის თითოეული ძარღვი სისხლს უმატებს სასარგებლო და საჭირო ელემენტებს და თუ ადამიანს ძარღვი გამოეცალა, ან მისი მოქმედება შესწყდა, მთელი სხეული ავადდება, ამ ძარღვების მოქმედებას დიდი გავლენა აქვს სისხლზედ. შემდეგ ბროუნსეკარი ამტკიცებდა, რომ თუ ვინიცობაა ძარღვების მოქმედება შესუსტდა, მის მაგიერად შეიძლება სისხლს შეემატოს საჭირო ელემენტები, სხვა ცხოველთა ორგანიზმიდგან აღებული. მეცნიერთ სცადეს, რამდენად მართალია ეს აზრი ბროუნსეკარისა. სხვა-და-სხვა ცხოველებს გამოაცალეს ზოგიერთი ძარღვი და როცა ცხოველი ავადდებოდა, სხეულში უშხაპუნებდნენ სხვა ცხოველის იმავე ძარღვიდგან აღებულ ელემენტებს და დაავადებული ცხოველი ისევ რჩებოდა. ამ გვარად დამტკიცდა სიმართლე ბროუნსეკარის აზრისა. სწორედ მაშინ წარმოსთქვა ბროუნსეკარმა თავისი გასაოცებელი სიტყვა— rajeunissment (გაახალგაზდება), რომელმაც, 1889 წელს რომ განიმეორა, ერთსა და იმავე დროს დიდი სახელიც მოუხვეჭა მოხუცებულს მეცნიერს და მეორეს მხრივ მრავალ გვარი დაცინვა თავს დაატეხა.

მოსკოვში არის ერთი ექიმი, ბ-ნი ვიქტოროვი, რომელსაც მეტადა სწამს ბროუსენკარის წამლის ღირსება. ეს ექიმი ამბობს სხვათაშორის:

ბროუნსეკარის წამალი არამც თუ ამაგრებს დაბედებით სუსტის ადამიანის სხეულს, არამედ ამ წამალს შეუძლიან სრულიად შესცვალოს თვისება ადამიანის სხეულისა სწორედ ისე, როგორც ერთს მცენარეს მეორეზედ ამყნობენ ხოლმე.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ბერლინის ერთმა გაზეთმა გამოიანგარიშა, რამდენი ხანი იმოგზაურა წრეულს ახალგაზდა იმპერატორმა. 1893 წლის 15 აგვისტოდგან 1894 წლის 15 აგვისტომდე ვილჰელმმა დაჰყო 166 დღე ბერლინში ანუ თავისს ,,ახალს სასახლეში'' პოტსდამში და 199 დღე სხვა-და-სხვა ადგილს. ეს მოგზაურობა სამ გვარია: 1) სამხედრო საქმეთათვის ესე იგი: აღლუმებისათვის და სხვ.; 2) სანადიროდ და დასასვენებლად; 3) სხვა-და-სხვა სადღესასწაულო და სხვა შემთხვევებზედ დასასწრებლად.

სულ ვილჰელმ II წრეულს გაიარა რკინის გზით 30,000 კილომეტრი. ამ ანგარიშში კიდევ არ არის პოტსდამიდგან ბერლინში ანუ შპანდაუში და ეკსკურსიებზედ მოგზაურობა.

**

გაზ. „Magdeburg. Zeit."-ში დაბეჭდილი იყო, ვითომ თავადს ბისმარკს ანარქისტებზედ ეთქვას: ,,ანარქისტები ისეთივე ღორები არიან, როგორიც მე მყავს ვარცინგის მამულში''. ეხლა გაზეთი ,,Hambnurger Nachricht''-ი სწერს:

ზემოხსენებულ გაზეთის მიერ ნათქვამში სიტყვები ტყუილია. ბისმარკი თავის დღეში ანარქისტებს ღორებს ვერ შეადარებს, რადგანაც მისის აზრით, ღორი გამოსადეგი ცხოველია და ანარქისტებზედ კი ეს არ ითქმის. როცა ბისმარკმა გაიგონა, ანარქისტები ღორებთან შეგიდარებიაო, წარმოსთქვა: ,,არა, მე მაგ გვარ შედარებით ღორებს არ ვაწყენინებდიო''.

# დეპეშა

17 აგვისტო

**პეტერბურგი.** 16 აგვისტო ბირჟა საადგილ მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები: ტფილისისა, 6% — $101^1/_4$, 5% — $100^1/_2$, ქუთაისისა, 6% — $101^1/_2$, 5% $100^1/_2$, ყველა გაყიდულია; 5% ობლიგაციები ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა $93^3/_4$.

**ლონდონი.** ზედა პალატის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციას არაფერი მნიშვნელობა ჰქონია; მრავალი უფრო თავის შესაქცევად იყვნენ მოსულნი, ვიდრე საწინააღმდეგოდ.

გრაფი პარიზისა მძიმე ავად შეიქნა.

**ვენა.** გამოცხადებულია ოფიციალურად, რომ სილეზიაში ხოლერა გაჩნდა.

პეტერბურგის ბირჟა, 12 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,48 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $148^1/_2$ | $149^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $238^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 228 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | $191^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

**კეთილშობილს ქალს**

ჰსურს აიყვანოს გიმნაზიის მოსწავლე-ქალი შესანახად და საპატრონებლად.

ადრესი: კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 16, ეზოში იკითხეთ.

(2—1637—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,** —$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანცუსი,** 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში.

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

# საპონი

პროვიზორი

## ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთ ვ რობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(გ. 17) 20—19

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბექანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი"

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

(50—1234—39)

# „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРIА''.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

# ლექსები

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(10—1420—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 17-го Августа 1894 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.